

**(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია) და სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს
ერთობლივი პროექტი - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევა**

1. პროცედურის მიზანი, ამოცანები და წინაპირობები:

1.1. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომხმარებლებისათვის კვლავ შეეთავაზებინათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაკარგვა/დაზიანების შემთხვევაში დოკუმენტის გამოცვლისა და დამზადების შესაძლებლობა (დაზღვევა).

1.2. შემუშავდა სადაზღვეო პროდუქტის კონცეფცია - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისი, რომლითაც ფიზიკურ პირებს შეეძლება, კვლავ ისარგებლონ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, და სსიპ- იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში.

1.3. ოფიციალური კონკურსის მეშვეობით ზემოაღნიშნულ პროექტში გაიმარჯვა და თანამშრომლობის უფლება მოიპოვა **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)**. ამასთან, **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** თანახმაა, სადაზღვეო პროდუქტის მოქნილი რეალიზაციისა და მის შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიმოცვლის მიზნით, მოახდინოს კომპანიის შიდა პროგრამული ინტეგრაცია/სინქრონიზაცია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამასთან.

2. პროცედურაში მონაწილე მხარეები.

2.1. პროცედურაში მონაწილე მხარეები:

ა) **სადაზღვეო კომპანია** - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში დოკუმენტების დაზღვევის სერვისის ინტერესების გამომხატველი კომპანია, გამოვლენილი ელექტრონული აუქციონის საფუძველზე;

ბ) **განაცხადის მიმღები/სადაზღვეო დოკუმენტის გამცემი** – სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები, სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოები (დაზღვევის გამცემი სუბიექტი);

გ) **ოპერატორი** - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების და სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოების ოპერატორი, რომელიც უფლებამოსილია მომხმარებელს შესთავაზოს ზემოაღნიშნული სადაზღვეო პროდუქტი და, შესაბამისად, მიიღოს დოკუმენტების დაზღვევასთან დაკავშირებული განაცხადი ან/და გასცეს სადაზღვეო პოლისი;

დ) **მომხმარებელი** - საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი, რომელიც სარგებლობს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევით და რომელიც დოკუმენტის დამზადებასთან ერთად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში იძენს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევას;

3. პროცედურაზე პასუხისმგებელი პირები:

3.1 სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო:

ა) არეგულირებს და უზრუნველყოფს სადაზღვეო პროდუქტის გამართულ მუშაობას, როგორც პროგრამულ, ასევე მატერიალური დოკუმენტბრუნვის ნაწილში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში;

ბ) პასუხისმგებელია დაზღვევის განაცხადის მიმღები და მათი ოპერატორების მიერ პროდუქტის რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის დაცვასა და კონტროლზე;

გ) პასუხისმგებელია სერვისის გამართულ ფუნქციონირებაზე, რის შედეგადაც სამუშაო დღის დაწყებიდან მომდევნო სამუშაო დღემდე **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** ხელმისაწვდომი იქნება განვლილი სამუშაო დღის, ხოლო თვის ბოლო რიცხვის შემთხვევაში, სამუშაო დღის დაწყებიდან მომდევნო სამუშაო დაზღვეული დოკუმენტების ასლები, ასევე, ასანაზღაურებელი და გაუქმებული პოლისების, ელექტრონული ხელმოწერების მონაცემები;

დ) უზრუნველყოფს **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** დაზღვეული დოკუმენტების ბაზის განთავსებას სააგენტოს სერვერულ ინფრასტრუქტურაში და ამ მონაცემების მიწოდებას **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** (მომხმარებლების პერსონალური მონაცემები, მათ შორის დასაზღვევ და დაზღვეული

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისის დანერგვის პროცესი დოკუმენტის მონაცემები, პოლისის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია, მომხმარებლის საკონტაქტო ინფორმაცია, პოლისი და მისი რეკვიზიტები, ოპერატორის შესახებ მონაცემები);

ე) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ - იუსტიციის სახლის, ოპერატორი უფლებამოსილია, მომხმარებელს შესთავაზოს ზემოხსენებული სადაზღვევო პროდუქტი და, შესაბამისად, მიიღოს დოკუმენტების დაზღვევასთან დაკავშირებული განაცხადი ან/და გასცეს სადაზღვევო დოკუმენტი. ასევე პასუხისმგებელია პოლისში მოცემული სრული ინფორმაციის სისწორეზე/იდენტურობაზე.

3.2 (მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია):

ა) პასუხისმგებელია (მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია) სრული მომსახურების ხარისხისა და პროექტით მიღებული ფინანსური შედეგების ეფექტურობის კონტროლზე;

ბ) არეგულირებს და უზრუნველყოფს სადაზღვევო პროდუქტის გამართულ მუშაობას, პასუხისმგებელია პროდუქტის რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის დაცვასა და კონტროლზე;

გ) უზრუნველყოფს სააგენტოსა და (მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია) შორის მოქნილი, სწორი და შეუფერხებელი ანგარიშსწორების პროცედურას;

დ) პასუხისმგებელია (მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია) მხრიდან სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამასთან გამართულ სინქრონიზაციაზე, ინფორმაციის გეგმიურ იმპორტირებასა და საოპერაციო განყოფილებაში გადაგზავნაზე პოლისების საბოლოო ავტორიზაციისა და შესაბამისი ინფორმაციული შემადგენლობის გადამოწმების მიზნით;

ე) უზრუნველყოფს სადაზღვევო პროდუქტის ფარგლებში შეთავაზებული მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელებას დოკუმენტაციის (პირადობა/პასპორტი/სამგზავრო დოკუმენტის) რეალიზაციის ხელშეწყობისა და მომხმარებლისათვის ინფორმაციის მარტივად და ეფექტიანად გადაცემის რეჟიმში. პროდუქტის რეალიზაციის მიზნით ხელს უწყობს წახალისების სქემის შემუშავებასა და განხორციელებას.

ვ) აუნაზღაურებს მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე პირობების შესაბამისად;

ზ) ზარალი ანაზღაურდება მას შემდეგ, რაც ოპერატორი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პროგრამაში აღნიშნავს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტს;

3.3 მომხმარებელი

3.3.1. მომხმარებელი ვალდებულია, გადაიხადოს პრემია პოლისში მითითებული წესით და ოდენობით. პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან;

3.3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის მოქმედების პერიოდში, მომხმარებელი ვალდებულია, წერილობით განაცხადოს ზარალის შესახებ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, და სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში.

4 ტერმინთა განმარტება:

4.1 **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

4.2 **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** - საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა, მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მოწმობა, დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობა, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი, მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი.

4.3 **განაცხადი** - ელექტრონული განაცხადი, რომელშიც ოპერატორი აფიქსირებს მომხმარებლის (არასრულწლოვნის/მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის) სურვილს, დააზღვიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.4 **პოლისი** - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მომხმარებელს, მისი მიღების შემდგომ, აძლევს უფლებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემის თარიღიდან და მოქმედებს 1 კალენდარული წლის განმავლობაში;

4.5 **სადაზღვევო პრემია** - დაზღვევის/სადაზღვევო მომსახურების ღირებულება;

4.6 **სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო დოკუმენტში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც სადაზღვევო კომპანია კისრულობს ვალდებულებას, აანაზღაუროს ზარალი.

4.7 **საკომისიო** - სადაზღვევო კომპანიის მიერ მოსარგებლისთვის გადახდილი თანხა;

5. პოლისის შეთავაზების, რეალიზაციის, გამოწერისა და დადასტურების პროცედურა

5.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის რეალიზაცია:

5.1.1 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადებაზე განაცხადის მიღების პროცესში ოპერატორი მომხმარებელს სთავაზობს ზემოაღნიშნული დოკუმენტის დაზღვევას.

5.2. პოლისის ღირებულების გადახდა, როგორც პოლისის გამოწერის წინაპირობა

5.2.1. მომხმარებლის მიერ პოლისის შეძენაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში:

5.2.1.1. ოპერატორი მომხმარებელს დაზღვევის მომსახურების გადახდის მიზნით ატანს პროგრამულად ამობეჭდილ სამახსოვრო ბარათს, სადაც ფიქსირდება პოლისის განაცხადის ნომერი;

5.2.1.2. მომხმარებელი იხდის დაზღვევის მომსახურების საფასურს (დაჩქარებული/ჩვეულებრივი დაზღვევის ფასი) „თი ბი სი ბანკში“, „საქართველოს ბანკსა“ ან „ლიბერთი ბანკში“ და სხვა;

5.2.1.3. გადახდა ფიქსირდება სადაზღვევო კომპანიასთან, რის შესახებაც ინფორმაცია ავტომატურად აისახება ოპერატორის პროგრამაში;

5.2.1.4. მომხმარებელი აკითხავს ოპერატორს პოლისის გამოწერის მიზნით (5.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემისას).

5.2.1.5. სადაზღვევო განაცხადის განხილვა დაიწყება სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ.

5.3. სადაზღვევო განაცხადის შევსება

5.3.1. ოპერატორი პროგრამულად ავსებს განაცხადს, რომელშიც შეჰყავს მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის და დაზღვევის ამოქმედებისათვის საჭირო ყველა მონაცემი;

5.3.2. განაცხადის საბეჭდი ვერსიის გაცნობის შედეგად განაცხადში შევსებული მონაცემების სისწორეს მომხმარებელი ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც პროგრამულად დაიტანება განაცხადზე;

5.3.3. თუ მომხმარებელი თანახმაა, მიიღოს სადაზღვევო პოლისის განახლების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება, თანხმობას გამოხატავს ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც პროგრამულად დაიტანება სადაზღვევო განაცხადზე. მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას შეტყობინების მიღებაზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის (მაგ.: NO SMS), მოსარგებლისთვის ან სადაზღვევო კომპანიისთვის მიმართვის გზით.

5.4. პოლისის პირველი დონის ავტორიზაცია

5.4.1. ოპერატორი პასუხისმგებელია პოლისში მითითებული მონაცემების სისწორეზე, რომელთა გადამოწმების მიზნით ის თავადაც ამოწმებს პოლისის საბეჭდ ვერსიას;

5.5. პოლისის ბეჭდვა და მომხმარებლისათვის გადაცემა

5.5.1. პოლისში ასახული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად, მისი სისწორის შემთხვევაში, იბეჭდება შევსებული პოლისი;

5.5.2. პოლისი იბეჭდება A4 ფორმატზე ერთ ეგზემპლარად და მისი ელექტრონული ასლი ინახება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

5.5.3. პოლისის ამობეჭდილი ვერსია დაზღვევის დამადასტურებელი ფიზიკური დოკუმენტის სახით გადაეცემა მომხმარებელს;

5.5.4. დაწესებული პროგრამული შეზღუდვის შედეგად პოლისი გენერირდება პროგრამაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული იქნება მომხმარებლის ელექტრონული ხელმოწერით;

5.5.5. სადაზღვევო პოლისის გატანა შესაძლებელია მომხმარებლისათვის დამზადებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემისთანავე;

5.5.6. სადაზღვევო პოლისი გაიცემა და გააქტიურდება მომხმარებლისთვის (არასრულწლოვნის/მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდაჭერის თანხმობის საფუძველზე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და სადაზღვევო დოკუმენტის გადაცემისთანავე;

5.5.7. თუ დამზადებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მომხმარებელმა ნებისმიერი მიზეზის გამო არ/ვერ ჩაიბარა, სააგენტო ინახავს მას მხოლოდ 1 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ამავე ვადით გადაიწვეს ზემოაღნიშნულ დამზადებულ დოკუმენტზე სადაზღვევო პოლისის გამოწერის/ბეჭდვის ან/და გადაცემის პროცესი;

5.5.8. თუ მომხმარებელმა პირადობის/პასპორტის/ბინადრობის/სამგზავრო დოკუმენტის მოწმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში არ ჩაიბარა დამზადებული დოკუმენტი და სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო განაცხადი გაუქმდება ავტომატურად. გადახდილი პრემია არ ბრუნდება.

5.6. სადაზღვევო კომპანიისათვის პოლისების მიწოდება

5.6.1. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სადაზღვევო კომპანიას პოლისებს აწვდის მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

5.6.2. პოლისების შესახებ მონაცემები, სსიპ - სახელმწიფო სერვისები განვითარების სააგენტოში ელექტრონულად მომართვის საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღემდე მიეწოდება სადაზღვევო კომპანიას;

5.6.3. **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** უფლებამოსილია, გამოითხოვოს/მიიღოს ნებისმიერი პოლისის PDF ვერსია, სააგენტოში ელექტრონული მომართვის გაგზავნის საფუძველზე 5.6.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

5.6.4. **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** უფლებამოსილია, სააგენტოში ელექტრონული მომართვის საფუძველზე პროგრამულად მიიღოს ინფორმაცია დღის განმავლობაში გაუქმებული პოლისების შესახებ იმავე დღეს, მომდევნო სამუშაო დღემდე;

5.6.5. **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** გამოთხოვილი მონაცემების სრულყოფასა და სისწორეზე სრულად პასუხისმგებელია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამასთან, **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** პოლისში არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ პროგრამული ცვლილებით), სააგენტო ვალდებულია, გამოსწოროს აღნიშნული ხარვეზები.

5.7. სადაზღვევო კომპანიის მიერ პოლისების საბოლოო დადასტურება/ავტორიზაცია

5.7.1. სადაზღვევო კომპანია ყოველი სამუშაო დღის ბოლოს პროგრამულად ასახავს სააგენტოს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ პოლისებს;

5.7.2. პოლისების შემოწმებისა და საბოლოო ავტორიზაციის მიზნით სადაზღვევო კომპანია გამოიყენებს ზემოაღნიშნული მუხლის 5.6.1. პუნქტში მოცემულ ინფორმაციას, მათ შორის, პოლისის საბეჭდო pdf ვერსიას მომხმარებლის ელექტრონული ხელმოწერით;

5.7.3. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს გადაეგზავნება ზემოაღნიშნული პოლისების ჩამონათვალი.

5.8. ანგარიშსწორება

5.8.1 პოლისების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების პროცედურა

5.8.1.1. სადაზღვევო პოლისების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი თვის განმავლობაში ყოველდღიურად მომხმარებლის მიერ ჩარიცხვისთანავე აისახება **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** ანგარიშზე;

5.8.1.2. ზემოაღნიშნული პუნქტის 5.8.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ჩარიცხული თანხები ორი ტიპის შემოსავალს წარმოადგენს: ნაწილი განკუთვნილი იქნება და ავტომატურად გადანაწილდება უკვე გამოწერილ პოლისებზე, ხოლო ნაწილს მომხმარებელი ავანსის სახით გადაიხდის ოპერატორის მიერ გაცემული სამახსოვრო ბარათის საფუძველზე;

5.8.1.3. თუ მომხმარებელი არღვევს 5.5.8 ქვეპუნქტში აღწერილი დოკუმენტის/შესაბამისი დაზღვევის მიღების ერთწლიან ვადას, მის მიერ სადაზღვევო კომპანიისთვის სამახსოვრო ბარათის საფუძველზე ავანსის სახით გადახდილი თანხა რჩება სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე, სააგენტოს კი ზემოაღნიშნულ თანხაზე პრეტენზია არ გააჩნია (მათ შორის, საკომისიოს ნაწილში);

5.8.1.4. თუ მომხმარებელმა 5.9.2 ქვეპუნქტში აღწერილი ყველა პროცედურის დაცვით, გადახდილი სადაზღვევო პრემია უკან გამოითხოვა, სადაზღვევო კომპანია ზემოაღნიშნულ თანხას მომხმარებელს, მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, უკან დაუბრუნებს 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

5.8.1.5. ანგარიშსწორება სსიპ-ს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** შორის ხორციელდება თვეში ერთხელ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომლითაც განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიის მიერ სააგენტოსთვის გადასახდელი თანხის ოდენობები. გაწეული მომსახურებისა და ანგარიშსწორების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის მომზადებასა და მხარეთათვის მიწოდებას უზრუნველყოფს სააგენტო.

5.8.1.6. სააგენტო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიას უგზავნის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაციას ყოველი კალენდარული თვის დამთავრებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ბოლო არასრული კალენდარული თვის შემთხვევაში, ხელშეკრულების დასრულების თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის უფლებამოსილი პირი)**.

5.8.1.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხორციელდება 5.8.1.6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაგზავნიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ანგარიშსწორება - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.8.1.8. თუ სადაზღვევო კომპანია არ ეთანხმება სააგენტოს მიერ აღრიცხული რაოდენობის ან გადასახდელი თანხის ოდენობას, იგი ვალდებულია, ხელშეკრულების 5.8.1.6 პუნქტით განსაზღვრული

ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს აღნიშნულის თაობაზე სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე: მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილია, არ განიხილოს სადაზღვევო კომპანიის პრეტენზია, ხოლო სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, დაეთანხმოს სააგენტოს მიერ აღრიცხულ რაოდენობას და გააფორმოს სააგენტოს მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.8.1.9. თუ სადაზღვევო კომპანია სადავოდ ხდის სააგენტოს მიერ აღრიცხული/მიწოდებული რეალიზებული პოლისების რაოდენობას ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების 5.8.1.7 პუნქტით დადგენილ ვადაში გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულება, რომელიც სადავო არ არის, ასევე ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხა.

5.8.1.10. თუ სადაზღვევო კომპანია სადავოდ ხდის სააგენტოს მიერ აღრიცხული/მიწოდებული გაცემული პოლისების ან ასანაზღაურებელი პოლისების რაოდენობას ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, 5.8.1.8 პუნქტის შესაბამისად სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, მხარეები ახდენენ სადავო მოთხოვნების იდენტიფიცირებას. მხარეები სააგენტოს მიერ აღრიცხული და მიწოდებული სადაზღვევო შემთხვევების ან გაცემული პოლისების რაოდენობის ან/და გადასახდელი თანხის მოცულობაზე შეთანხმების შემთხვევაში აფორმებენ აქტს ხელშეკრულების 5.8.1.9 პუნქტის საფუძველზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მონაცემების დაზუსტების შესახებ;

5.8.1.11. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

5.8.1.12 რეალიზებული პოლისების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან – **(მითითება უფლებამოსილი პირები) ...სადაზღვევოს მხრიდან-**

5.8.1.13 ხელშეკრულების 3.8.1.12 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერ პირთა ან/და მათი თანამდებობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს სააგენტო.

5.8.1.14. სადაზღვევო კომპანიის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების ვადის გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, სააგენტოს გადაუხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

სადაზღვევო შემთხვევა/ზარალის ანაზღაურების პროცედურა

5.8.2.1 სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ყოველდღიურად გამოწერილი პოლისების შესახებ ინფორმაციის პარალელურად, სადაზღვევო კომპანიას საშუალება ექნება, პროგრამულად გამოითხოვოს ინფორმაცია დღის განმავლობაში დაფიქსირებული ზარალების/სადაზღვევო შემთხვევების შესახებ, რომელიც პოლისში არსებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფუძველს;

5.8.2.2 თუ ზარალი დამდგარია დოკუმენტის დაზიანებით, ოპერატორმა ზარალის შესახებ განაცხადთან ერთად უნდა ჩაიბაროს დაზიანებული დოკუმენტის დასკანერებული ასლი, რომელიც სააგენტოში ელექტრონული მიმართვის გაგზავნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი იქნება სადაზღვევო კომპანიისთვის. ოპერატორი არ ელოდება სადაზღვევო კომპანიის დასტურს. დაზიანებული დოკუმენტის შემოწმება და ახალი დოკუმენტის დამზადებაზე განაცხადის ჩაბარება ავტომატურად განსაზღვრავს ზემოაღნიშნული სადაზღვევო შემთხვევის რეალურობაზე ოპერატორის/სააგენტოს პასუხისმგებლობას;

5.8.2.3 გარეგანი ზემოქმედება - დაზღვეულ დოკუმენტზე ისეთი გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება, რომლის შედეგადაც:

- ა) შეცვლილია კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტის ფერი;
- ბ) ნაწილობრივ ან სრულად დარღვეულია დოკუმენტის მთლიანობა;
- გ) ნაწილობრივ ან სრულად არ იკითხება დოკუმენტში დაბეჭდილი მონაცემები;
- დ) ვიზუალური დათვალიერებით, დოკუმენტი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.8.2.4 მომხმარებლის მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, ოპერატორი დაზღვეული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას მიიღებს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დაცული სადაზღვევო კომპანიის დაზღვეული დოკუმენტების მონაცემთა ბაზიდან;

5.8.2.5 იმ შემთხვევაში, თუ ზარალის ანაზღაურების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზარალი დამდგარი იყო სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების გამონაკლისებით მოცემული გარემოებებით, და ამასთან სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გადახდილია მოსარგებლისათვის, ზარალის ანაზღაურების საკითხი გადაწყდება ხელშეკრულების N1 დანართის შესაბამისად.

5.8.2.6 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისთვის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფასურის კანონმდებლობით გაზრდის შემთხვევაში, მომხმარებელი გაზრდილი საფასურის ღირებულებას თავად ამატებს;

5.8.2.7 ანგარიშსწორება ხორციელდება თვეში ერთხელ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომლითაც განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიის მიერ სააგენტოსთვის გადასახდელი თანხის ოდენობები. გაწეული მომსახურებისა და ანგარიშსწორების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის მომზადებასა და მხარეთათვის მიწოდებას უზრუნველყოფს სააგენტო.

5.8.2.8 სააგენტო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიას უგზავნის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაციას ყოველი კალენდარული თვის დამთავრებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ბოლო არასრული კალენდარული თვის შემთხვევაში, ხელშეკრულების დასრულების თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში

5.8.2.9 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხორციელდება 5.8.2.8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაგზავნიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ანგარიშსწორება - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.8.2.10 თუ სადაზღვევო კომპანია არ ეთანხმება სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ აღრიცხული რაოდენობის ან გადასახდელი თანხის ოდენობას, იგი ვალდებულია, 5.8.2.8 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს აღნიშნულის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელფოსტაზე: მითითებული ვადის გასვლის შემდეგ სააგენტო უფლებამოსილია, არ განიხილოს სადაზღვევო კომპანიის პრეტენზია, ხოლო სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, დაეთანხმოს სააგენტოს მიერ აღრიცხულ რაოდენობას და გააფორმოს სააგენტოს მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.8.2.11 თუ სადაზღვევო კომპანია სადავოდ ხდის სააგენტოს მიერ აღრიცხული/მიწოდებული ასანაზღაურებელი ზარალის რაოდენობას ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 5.8.2.9 პუნქტით დადგენილ ვადაში გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულება, რომელიც სადავო არ არის, ასევე ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხა.

5.8.2.12 თუ სადაზღვევო კომპანია სადავოდ ხდის სააგენტოს მიერ აღრიცხული/მიწოდებული და გაცემული პოლისების ან ასანაზღაურებელი პოლისების რაოდენობას ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, 5.8.2.10 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში მხარეები ახდენენ სადავო მოთხოვნების იდენტიფიცირებას. მხარეები სააგენტოს მიერ აღრიცხული და მიწოდებული სადაზღვევო შემთხვევების ან გაცემული პოლისების რაოდენობის ან/და გადასახდელი თანხის მოცულობაზე შეთანხმების შემთხვევაში აფორმებენ აქტს ხელშეკრულების 5.8.2.9 პუნქტის საფუძველზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მონაცემების დაზუსტების შესახებ.

5.8.2.13 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

5.8.2.14 ასანაზღაურებელი ზარალის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან .. სადაზღვევოს ..

5.8.2.15 ხელშეკრულების 5.8.2.14 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერ პირთა ან/და მათი თანამდებობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს სააგენტო.

5.9. სადაზღვევო პოლისის გაუქმება

5.9.1 სადაზღვევო პოლისის გაუქმება მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია როგორც სადაზღვევო პოლისის გააქტიურებამდე, ასევე პოლისის გააქტიურების შემდგომ;

5.9.2 თუ მომხმარებელმა გადაიფიქრა დაზღვევის ყიდვა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე, მას შეუძლია გადახდილი სადაზღვევო პრემიის უკან დაბრუნება. მომხმარებელი სადაზღვევო დოკუმენტის გაუქმების ან/და თანხის დაბრუნების შესახებ განაცხადს წარადგენს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, და სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში. განაცხადში მითითებული საბანკო რეკვიზიტების მიხედვით, თანხის ჩარიცხვა მოხდება სადაზღვევო კომპანიის მიერ უნაღდო ანგარიშსწორების გზით 10 სამუშაო დღის ვადაში;

5.9.3. თუ მომხმარებელი დაზღვევის გაუქმების სურვილს გამოთქვამს სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ, იგი წერს განცხადებას დაზღვევის გაუქმების მოთხოვნით, თუმცა ამ შემთხვევაში გადახდილი სადაზღვევო პრემია აღარ უბრუნდება.

6. სადაზღვევო პოლისის ფორმა, შევსების წესი:

6.1. პოლისში შესაძლებელია მიეთითოს შემდეგი მონაცემები:

ა) პოლისის ნომერი (გენერირდება პროგრამულად);

ბ) მომხმარებლის - სახელი, გვარი - ივსება ავტომატურად;

გ) მომხმარებლის დაბადების თარიღი - ივსება ავტომატურად;

დ) მომხმარებლის პირადი ნომერი - ეს მონაცემი ივსება ხელით და, შესაბამისად, 6.1 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები შეივსება ავტომატურად;

6.2 თუ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადებაზე განაცხადის წარდგენასთან ერთად დაინტერესებული პირი გამოხატავს აღნიშნული დოკუმენტის დაზღვევის სურვილს, დოკუმენტის გადაცემის თარიღი დაემთხვევა სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღს - შესაძლოა, ეს მონაცემი ჩაჯდეს ავტომატურად, დოკუმენტის ბეჭდვის თარიღით;

6.3 სადაზღვევო პერიოდი - შესაძლოა, ეს მონაცემი ჩაჯდეს ავტომატურად, პროგრამულად დოკუმენტის შექმნის თარიღისა და მომდევნო წლის - კონკრეტული თარიღის მითითებით;

6.4 სადაზღვევო თანხა - ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, აანაზღაუროს ზარალი;

6.5 სადაზღვევო პოლისის ტიპის არჩევა - მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე, ოპერატორმა პროგრამულად უნდა აირჩიოს დაზღვევის შესაბამისი პაკეტი: 1 ან 10 დღის ვადაში ზარალის ანაზღაურების მომსახურება;

6.6 სადაზღვევო პრემია - ავტომატურად ჯამდება და ივსება 6.1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტსა და 6.5. პუნქტებში არჩეული მონაცემების საფუძველზე;

6.7 პოლისში მოცემულ ინფორმაციას ადასტურებს და მის შეძენა/გამოყენებაზე მომხმარებელი თანხმობას აცხადებს ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, რომელიც ამოიბეჭდება პოლისის საბეჭდო ფორმასთან ერთად. ამასთან, მზღვეველის მხარეს ამოიბეჭდილი პოლისის ვერსიაში ავტომატურად ჩაჯდება **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის უფლებამოსილი პირის)** ხელმოწერისა და კომპანიის ბეჭდის ელექტრონული ვერსიები;

6.8 პოლისის საბეჭდო ვერსიას თან ერთვის სადაზღვევო პროდუქტის ძირითადი პირობების განმარტება:

„ა) რას ანაზღაურებს დაზღვევა?

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/პასპორტი/სამგზავრო დოკუმენტი) დაკარგვის, მოპარვის, ძარცვის, ყაჩაღობის ან გარეგანი ზემოქმედების შედეგად დაზიანების შემთხვევებში, სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველი სააგენტოს გადაურიცხავს დოკუმენტის ღირებულებას, რომელიც არ აღემატება წინამდებარე სადაზღვევო ბარათში მითითებულ სადაზღვევო თანხას, რის საფუძველზეც სააგენტო მომხმარებელზე გასცემს ახალ დოკუმენტს. მომხმარებელზე თანხა არ გაიცემა.

შენიშვნა:

1. დოკუმენტის დაზიანების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების განაცხადის შევსებისას მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს დაზიანებული დოკუმენტის დედანი.

2. განახლებას არ ექვემდებარება პოლისი, რომელზეც დამდგარია სადაზღვევო შემთხვევა. ასეთ შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევა, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს თავიდან ახალ დოკუმენტზე.

ბ) როგორ უნდა მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დროს?

ზემოთ ჩამოთვლილ რისკთაგან ერთ-ერთის დადგომისას ახალი დოკუმენტის მისაღებად განაცხადის წარდგენას თქვენ შეძლებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებსა და სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში.

გ) რამდენჯერ არის შესაძლებელი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება

სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დოკუმენტის შეცვლა მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი.

დ) რა ტიპის შემთხვევებზე არ ვრცელდება დაზღვევა?

დ.ა) სახელის ან გვარის შეცვლის დროს;

დ.ბ) ვიზებისთვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;

დ.გ) პირადი განცხადების საფუძველზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაუქმებისას;

დ.დ) დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას;

დ.ე) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში არასადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე შეცვლილ დოკუმენტზე ძველი დოკუმენტის დაზღვევა არ გადადის.

ე) რა შემთხვევაში უქმდება სადაზღვევო განაცხადი ავტომატურად?

ე.ა) იმ შემთხვევაში, თუ სააგენტომ მომხმარებელს დოკუმენტის გაცემაზე უარი განუცხადა, სადაზღვევო განაცხადი ავტომატურად უქმდება. მომხმარებელს უფლება აქვს, დაიბრუნოს გადახდილი სადაზღვევო პრემია;

ე.ბ) სადაზღვევო განაცხადის განხილვა დაიწყება სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ.“

6.9 წინამდებარე ბარათზე ხელმოწერით მომხმარებელი ადასტურებს, რომ იცნობს დაზღვევის პირობებს და სრულად ეთანხმება მათ. ასევე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მოყვანილი მონაცემები არის სრული და ზუსტი, თანახმაა, რომ თუ ეს მონაცემები აღმოჩნდა მცდარი, სადაზღვევო კომპანია არ იქნება ვალდებული, გასცეს წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურება.

6.10. წინამდებარე ბარათზე ხელმოწერით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მის მიერ წინამდებარე სამახსოვრო ბარათზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდის შემთხვევაში დაზღვევა ამოქმედდება ამ ბარათში მითითებული მოცულობით და წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად.

7. სადაზღვევო დოკუმენტის განახლება

7.1 სადაზღვევო პოლისის განახლების თანხის გადახდა უნდა მოხდეს სადაზღვევო პერიოდის გასვლამდე 7 კალენდარული დღის განმავლობაში;

7.2 სადაზღვევო დოკუმენტის ვადის გასვლამდე 7 კალენდარული დღით ადრე **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** ვალდებულია, მომხმარებლის/ დადასტურებული თანხმობის არსებობის შემთხვევაში, გაუზიაროს მოკლე ტექსტური შეტყობინება სადაზღვევო პოლისის განახლების შესაძლებლობისა და ზემოაღნიშნულის განხორციელების მოკლე ინსტრუქციის შესახებ;

7.3 მოკლე ტექსტური შეტყობინება: „Gatsnobeht, rom tkven shegidzliat kidev 1 tslis vadit ganaaxlot piradobis damadasturebeli dokumentis dazgveva, romelsac vada ewureba {dd-mm-yy}-shi. Ganaxlebis miznit mimartet iusticiis saxlis filialebs, saxelmwifo servisebis ganvitarebis saagentos teritoriul samsaxurebs , sms no,

7.4 განახლებული სადაზღვევო პოლისი ძალაში შევა მოქმედი სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს, მას შემდეგ რაც მომხმარებელი/მომხმარებელი გადაიხდის განახლების თანხას. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისის ვადა გასდის უქმე დღეს, მომხმარებელი/მომხმარებელი განახლების საფასურს გადაიხდის მომდევნო სამუშაო დღეს.

7.5 დაზღვევის განახლებისათვის მომხმარებელი ხელახლა იხდის სადაზღვევო პრემიას განაცხადის მიმღებთან, რომელიც ნაწილდება სააგენტოს სადაზღვევო პრემიის მინიმალური წილის შესაბამისად;

7.6 განაცხადის მიღების პროცედურა იქნება ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად;

7.7 ოპერატორი შეამოწმებს განსაახლებელი პოლისის ვალიდურობას;

7.8 დაზღვევის განახლების სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, ოპერატორი ვალდებულია, გადაიღოს არსებული დასაზღვევი დოკუმენტის ასლი. **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** ხელმისაწვდომი იქნება ზემოაღნიშნული დოკუმენტის დასკანერებული ასლი. სააგენტო ხსენებულ ასლებს ინახავს 2 წლის განმავლობაში მხოლოდ ელექტრონული ფორმით;

7.9 განახლებული პოლისის ნომერი იქნება ახალი განაცხადის ნომერი;

7.10 სადაზღვევო პოლისის განახლება შესაძლებელია მაქსიმუმ სამჯერ. განახლებული სადაზღვევო პოლისზე მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა, მათ შორის წინამდებარე დანართის 3.8 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობები;

7.11 სადაზღვევო პოლისი არ განახლდება, თუ დამდგარია სადაზღვევო შემთხვევა;

7.12 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გადაიხდის განახლების საფასურს, ხოლო სადაზღვევო შემთხვევა დადგება მოქმედი სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე და განახლების პერიოდის დადგომამდე, ზარალის ანაზღაურებაზე განცხადების წარდგენისთანავე, ავტომატურად გაუქმდება განახლებული სადაზღვევო პოლისი. მომხმარებელს, შესაბამისი (საბანკო რეკვიზიტების მითითებით) განაცხადის სსიპ-სახელწმიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში და სსიპ - იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში წარდგენის შემდეგ, უფლება აქვს **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** მოითხოვოს განახლების საფასურის უკან დაბრუნება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

7.12.1. თუ მომხმარებელი განაცხადებს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მაგრამ ამასთან, ახალი დოკუმენტის დაბეჭდვამდე უკან გაიხმობს განცხადებას, გაუქმებული დოკუმენტი აღდგება, ხოლო ძველი პოლისი გააქტიურდება. შესაბამისად, ზარალის ანაზღაურების შესახებ განაცხადი ავტომატურად გაუქმდება. მოქმედი სადაზღვევო პოლისის განახლება შესაძლებელი იქნება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

7.12.2 ამ მუხლის 7.9 პუნქტით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება **(მითითება შესაბამისი სადაზღვევო კომპანია)** მიერ მოხდება ამ მუხლის 7.12 პუნქტში განსაზღვრული წესით, განცხადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.13. დაზღვევით სარგებლობის პერიოდში, რომელიც 1 წლის ვადით განისაზღვრება, მოქალაქის სურვილის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან დაზღვევა განხორციელდება მაქსიმუმ 3-ჯერ და ყოველი შემთხვევისათვის მოქალაქეს ხელახლა მოუწევს სადაზღვევო პრემიის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გადაიხდის განახლების საფასურს, ხოლო სადაზღვევო შემთხვევა დადგება მოქმედი სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე და განახლების პერიოდის დადგომამდე, მომხმარებელს, შესაბამისი განცხადების (საბანკო რეკვიზიტების მითითებით) სსიპ-სახელწმიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებში, და სსიპ -

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისის დანერგვის პროცესი იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში წარდგენის შემდეგ, უფლება აქვს **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** მოითხოვოს განახლების საფასურის უკან დაბრუნება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

8. მომხმარებლის განცხადების ფორმები:

8.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მომხმარებელი სადაზღვეო პოლისის გაუქმების/შეწყვეტის შემთხვევაში, **(მითითება შესაბამისი სადაზღვეო კომპანია)** გენერალური დირექტორის სახელზე, პირადი რეკვიზიტების მითითებით (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა, ხელმოწერის თარიღი) ავსებს შემდეგი სახის განცხადების ფორმებს:

8.1.1. სადაზღვეო განაცხადის გაუქმების მოთხოვნა თანხის დაბრუნებით

„გთხოვთ, გამიუქმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სადაზღვეო განაცხადი ნომრით „-----“, დაზღვევის პირობების 5.9.3 პუნქტის შესაბამისად, და დამიბრუნოთ გადახდილი სადაზღვეო პრემია პირად ანგარიშზე, ჩემ მიერ წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

საბანკო რეკვიზიტები: -----“.

8.1.2. სადაზღვეო განაცხადის გაუქმების მოთხოვნა თანხის დაბრუნების გარეშე

„გთხოვთ, გამიუქმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სადაზღვეო განაცხადი ნომრით „-----“, დაზღვევის პირობების 5.9.3 პუნქტის შესაბამისად. სადაზღვეო თანხის დაბრუნებაზე პრეტენზია არ გამაჩნია“.

8.1.3. სადაზღვეო პრემიის უკან დაბრუნება

„გთხოვთ, დაზღვევის პირობების 5.9.2 პუნქტის შესაბამისად, დამიბრუნოთ გადახდილი სადაზღვეო პრემია პირად ანგარიშზე, ჩემ მიერ წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად“.

საბანკო რეკვიზიტები: -----“.

8.1.4. სადაზღვეო პოლისის გაუქმების მოთხოვნა თანხის დაბრუნების გარეშე

„გთხოვთ, გამიუქმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევის პოლისი ნომრით „-----“, დაზღვევის პირობების 5.9.5 პუნქტის შესაბამისად. სადაზღვეო თანხის დაბრუნებაზე პრეტენზია არ გამაჩნია“.

8.1.5. სადაზღვეო პოლისის განახლების საფასურის უკან დაბრუნება

„გთხოვთ, დამიბრუნოთ გადახდილი სადაზღვეო პრემია პირად ანგარიშზე, ჩემ მიერ წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. საბანკო რეკვიზიტები: -----“.

დანართი N1

სადაზღვეო პრემიის კალკულაცია და ფასების ცხრილი:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის ტექნიკური დეტალები		საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა, მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მოწმობა, დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობა	საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი, მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი
სადაზღვეო პერიოდი		1 წელი	
სადაზღვეო თანხა:*	მე-10 სამუშაო დღეს გაცემის შემთხვევაში	65	155 ლარი
*(პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და სურათის ღირებულება)	მეხუთე სამუშაო დღეს	85	185

	იმავე სამუშაო დღეს მეხუთე დღეს	155 ლარი	355 ლარი
სადაზღვეო პრემია: *	მე-10 სამუშაო დღეს გაცემის შემთხვევაში	6 ლარი	7.5 ლარი
	იმავე დღეს გაცემის შემთხვევაში მე-5 სამუშაო დღეს გაცემის შემთხვევაში	16 ლარი 10 ლარი	17 ლარი 12 ლარი
სააგენტოს მინიმალური წილი სადაზღვეო პრემიიდან		-----	
სადაზღვეო რისკები/დაფარვები		პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაკარგვის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან გარეგანი ზემოქმედების შედეგად დაზიანების შემთხვევებში	
დაზღვევით სარგებლობის ლიმიტი		1 კალენდარული წლის განმავლობაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არაუმეტეს ერთხელ შეცვლის შესაძლებლობა.***	
1 წლის შემდეგ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევის განახლება		პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის განახლება შესაძლებელია მაქსიმუმ 3-ჯერ.	
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისი ვრცელდება:		ახალი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღებისას;	
მოქალაქისთვის დაზღვევის შეთავაზება ხდება: (დაზღვევის შეთავაზება ხდება ი, სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, სსიპ-იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში)****		განაცხადის ჩაბარებისას და დაბეჭდილი დოკუმენტის გატანისას.	

9. დაზღვევა არ ვრცელდება შემდეგი შემთხვევების დადგომისას:

სადაზღვევო კომპანია არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:

ა) სახელის ან გვარის შეცვლის დროს, ასევე, თუ დოკუმენტს აღენიშნება ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ბ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას, ასევე, თუ დოკუმენტს აღენიშნება ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გ) ვიზებისთვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;

დ) პირადი განცხადების საფუძველზე პასპორტის გაუქმებისას;

ე) დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას;

ვ) დოკუმენტის ცვეთისას – მოხმარების შედეგად დოკუმენტი ვიზუალურად აღარ შეესაბამება მის პირვანდელ სახეს და არ არსებობს დაზიანების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ამასთან ერთად, ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ზ) დოკუმენტს აღენიშნება ისეთი ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

თ) პინკოდის აღდგენის მიზნით;

ი) ნებისმიერი დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

კ) მომხმარებლის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;

ლ) სააგენტოს მიერ დოკუმენტის დამზადებისას/გაცემისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორებით.

შენიშვნა:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაზღვევაზე განაცხადის ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ფილიალებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და ექსპრეს საზოგადოებრივ ცენტრებში.

2. სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს მხოლოდ სტანდარტული, მე-5 დღეს, მე-10 დღეს და იმავე დღეს გასაცემი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ღირებულებებს შესაბამისი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში. მე-10 დღეს დაზღვევის არსებობის შემთხვევაში ანაზღაურებისას, სხვა ვადის არჩევის დროს, მომხმარებელი სტანდარტულ ღირებულებას თავად ამატებს.

3. დაზღვეული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, მოქალაქე უფასოდ მიიღებს შესაბამის დოკუმენტს. თუმცა ახალი, იმავე ტიპის დოკუმენტისთვის დაზღვევის სერვისის შეძენა ხელახლა მოუწევს. ამასთან ერთად, დაზღვევით სარგებლობის პერიოდში, რომელიც 1 წლის ვადით განისაზღვრება, მოქალაქის სურვილის შემთხვევაში, სადაზღვევოს მხრიდან დაეზღვევა მაქსიმუმ 3-ჯერ 1 კალენდარული წლის განმავლობაში და ყოველი დაზღვევისთვის პირს ხელახლა მოუწევს სადაზღვევო პრემიის გადახდა.
